MES 7 20 0000796323

08/09/2020

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

1. **დავით მალაზონია -** შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **გიორგი გიგიბერია -** ა(ა)იპ - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის პროგრამების მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნატალია შანიძე -** შპს „ათასწლეულის სკოლის“ მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი, მათემატიკის მასწავლებელი - საბჭოს მდივანი;
4. **ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე;
5. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;
6. **ავთანდილ აბდუშელიშვილი -** შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას“ დირექტორი;
7. **კახაბერ ფარცვანია** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი;
8. **არჩილ სუმბაძე** - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის - თბილისის“ აკადემიური დირექტორი, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი;
9. **გრიგოლ მურღულია** - ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის დამფუძნებელი და თავმჯდომარე;
10. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონი

დირექტორი - მეუფე სვიმეონი (თეიმურაზ ცაკაშვილი)

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა დარუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელ ობის გიმნაზია

დირექტორი - არქიმანდრიტი სტეფანე (გიორგი კორინთელი)

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლა

დირექტორი - დეკანოზი მათე (გორდელაძე)

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლა

დირექტორი - მამა ბასილი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლა

დირექტორი - ლალი მელივა

4.ზოგადსაგანმანათლებლოდაწესებულებისავტორიზაციისექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონი
ნელი ნასყიდაშვილი
გულიკო ხაბურზანია

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელ ობის გიმნაზია
ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი
ირმა ხუციშვილი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლა
ნანა მონიავა
მაკა კაჭკაჭიშვილი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლა
ქეთევან ბოტკოველი
ნინო მჭედლიშვილი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლა

ლიანა კობესაშვილი
მაკა ნადარეიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდება ონლაინ რეჟიმში.

სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში (Zoom - ის საშუალებით) 2020 წლის 24 აგვისტოს 15:00 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

ამის შემდეგ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარდგენილი, ამიტომ დამტკიცდა არსებული დღის წესრიგი.

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნელი ნასყიდაშვილმა და გულიკო ხაბურძანიამ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

1.1. ექსპერტმა ქალბატონმა ნელი ნასყიდაშვილმა ისაუბრა ძირითად მიგნებებზე. ექპერტმა გააცნო ვიზიტის დღის წესრიგი საბჭოს წევრებს, რომელიც შედგებოდა რამდენიმე პუნქტისაგან, ეს იყო წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული სავალდებულო რეკომენდაციების შესრულების შემოწმება, სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით პირველ სემესტრში მე- 5 კლასის მეორე სემესტრში დაგეგმილი და განხორციელებული შემაჯამებელი დავალებების შესახებ დოკუმენტაციის შემოწმება, მატერიალური რესურსისა და ინფრასტრუქტურის დათვალიერება და ა.შ.

ექსპერტმა ისაუბრა გამოვლენილ ხარვეზებსა და გაცემული რეკომენდაციების შესახებ. მისი თქმით, ერთ-ერთ ხარვეზს წარმოადგენდა საბაზო და საშუალო საფეხურზე პირველ სემესტრსა და მე-5 კლასის მე-2 სემესტრში

დაგეგმილი და განხორციელებული შემაჯამებელი დავალებების სრული დოკუმენტაციის შემოწმებას, რაც სკოლამ ვერ წარმოადგინა.

ექსპერტის განცხადებით, სკოლა-პანსიონში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებები ძირითადად იყო ტესტური ტიპის და არ იყო გამოყენებული კომპლექსური დავალებები, შემაჯამებელი დავალებების შესახებ დოკუმენტაციაში არ იყო შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, არ ჩანდა რომელ საგანში და რომელ წელს იყო ჩატარებული ეს შემაჯამებელი დავალება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს განემარტათ ზემო აღნიშნული.

სკოლის სასწავლო ნაწილის განცხადებით, შემაჯამებელი დავალებები იყო ტესტური ტიპის და დახურული ტიპის, ტესტებს თან ერთვოდა შეფასების კრიტერიუმებიც, ხოლო შემაჯამებელი დავალების, ნომერსა და თარიღზე ხარვეზს, სკოლის წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტს, რომ არ ჰქონდათ ზემო აღნიშნული და შემდეგში გაითვალისწინებდნენ.

ექსპერტის განცხადებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია შემაჯამებელი დავალების კომპონენტში, კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენების შესახებ.

1.2.ექსპერტმა ასევე ისაუბრა მატერიალური რესურსების შესახებ. ექსპერტის განცხადებით, სკოლა-პანსიონს მიეცა რეკომენდაცია მეორე და მესამე სართულებზე დაემონტაჟებინა მოძრავი პანდუსები, რათა გადაადგილება შესძლებოდა შეზღუდული უნარის მქონე მოსწავლეს.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 400 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400 - ით განსაზღვრის საკითხი. საბჭომ ასევე დასძინა, რომ ავტორიზაციის უწყვეტობის მიზნითა და მოსწავლეთა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო **2020 წლის 24 ა გვისტოდან.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონს(ს/კ 443854189) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400 -ით. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს **2020 წლის 24 აგვისტოდან.**

2.ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა და ირმა ხუციშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

2.1. ექსპერტმა საუბარი დაიწყო სკოლის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებზე. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების პროფილის მიუხედავად, სკოლაში სწავლობდნენ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები, სკოლას არ ჰქონდა დაწესებული ფიქსირებული გადასახადი და შესაძლებლობას აძლევდა სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს მიეღოთ გიმნაზიაში განათლება, სკოლა უსასყიდლოდ უზრუნველყოფდა მოსწავლეებს სასკოლო სახელმძღვანელოებით.

ექსპერტის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია სასკოლო სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით, კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმას მიეცემოდა ერთიანი სახე , საკითხები, რომელიც საჭიროებდა განათლების, მეცნიერების კულტურის და სპორტის სამინისტროსთან დასაბუთებას, ჯერ დასაბუთებულიყო და შემდგომ დამტკიცებულიყო, დამატებითი სავალდებულო საგნის შეთავაზებისას დაზუსტებულიყო შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა, შეფასების ფორმები, შეფასების კრიტერიუმები/რუბრიკები. ექსპერტის თქმით, რეკომენდაციას წარმოადგენდა შემდეგი ,შემაჯამებელი დავალების კომპონენტში მეტი აქცენტი გაკეთებულიყო შემაჯამებელ-კომპლექსური დავალებების გამოყენებაზე.

2.2. ექსპერტის განცხადებით, გიმნაზიაში საბუნებისმეტყველო ლაბორატორია განთავსებული იყო მე-2 სართულზე, ოთახში უზრუნველყოფილი იყო ბუნებრივი განათება, ოთახში იდგა მოძრავი ხელსაბანი, ლაბორატორიის აღჭურვილობა გაშლილი მდგომარეობით იყო წარმოდგენილი მაგიდაზე. სკოლას მიეცა რეკომენდაცია უსაფრთხოების მიზნით განეთავსებინა კარადებში ლაბორატორიის კომპლექტაცია.

ექსპერტის თქმით, გიმნაზიის სასწავლო კორპუსის შესასვლელი ადაპტირებული იყო ეტლით მოსარგებლეთათვის, ასევე სართულებს შორის კიბეებზე შეიცვალა ხის და დამონტაჟდა ლითონის ასაკეცი პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილი განთავსებული იყო ეზოში არსებული სველ წერტილებთან ერთად, ცალკე დამოუკიდებელი შესასვლელით და სივრცით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია სასწავლო კორპუსიდან სველ წერტილებამდე მისასვლელი გზა კეთილმოეწყო, რაზეც დირექციამ განმარტა, რომ ეზოს კეთილმოწყობის პროექტი დაწყებული იყო, ასევე გათვალისწინებული სველ წერტილებამდე მისასვლელი ბილიკის მოწყობაც, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტისას ეზოში იგებოდა ფილები და მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ექსპერტის განცხადებით, გიმნაზიის პედაგოგები ჩართულები იყვნენ „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“. ექსპერტის თქმით, ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ პედაგოგები აქტიურად მონაწილეობდნენ ტრენინგებსა და სხვადასხვა აქტივობებში. პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლა დროულად იძიებდა და აწვდიდა ინფორმაციას სიახლეებისა და მიმდინარე ტრენინგების აქტივობების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 250 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის

სახელობის გიმნაზიისშესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250 - ით განსაზღვრის საკითხი. საბჭომ ასევე დასძინა, რომ ავტორიზაციის უწყვეტობის მიზნითა და მოსწავლეთა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო **2020 წლის 24 აგვისტოდან.**

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიას (ს/კ 243914617) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250 - ით. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს **2020 წლის 24 აგვისტოდან.**

3.ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციის სა კითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნანა მონიავამ და მაკა კაჭკაჭიშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

3.1. ექსპერტმა, ქალბატონმა ნანა მონიავამ, ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებზე. ექსპერტის განმარტებით, სკოლას ჰქონდა დაახლოებით, 4000 კვ.მ., მარადმწვანე და ფოთლოვანი ხეებით დაჩრდილული ეზო. ეზოში მდებარე ფანჩატურში, მრგვალი მაგიდის გარშემო, ხშირად ტარდებოდა ბუნების, გეოგრაფიისა და სახვითი ხელოვნების გაკვეთილები. სკოლაში წლიური გადასახადი 150 ლარი იყო, ამასთან, ობლები და სოციალურად დაუცველები უფასოდ სწავლობდნენ, შეღავათებით სარგებლობდნენ დედმამიშვილები.

ექსპერტის განცხადებით, სკოლის მცირე შემოსავლისა, დაწესებულების ადმინისტრაცია ისე გეგმავდა ბიუჯეტს, რომ მოსწავლეები სრულად უზრუნველყოფილნი იყვნენ აუცილებელი სასწავლო ინვენტარითა და რესურსებით.

ექსპერტთა ყურადღება მიიქცია, სსსმ მოსწავლეებისთვის გამოყენებულმა სასწავლო რესურსებმა, ესენი იყო: გაზეთებიდან და ჟურნალებიდან ამოჭრილი მასალები, კლასელების ნახატები და სხვა სახის ნამუშევრები, მასწავლებლის ხელით შესრულებული ნახატები, სააზროვნო დავალებები და ა.შ.

ექსპერტის განცხადებით, სკოლაში ფუნქციონირებდა რამდენიმე უფასო წრე: ქართული ხალხური ცეკვების, ქართული ხალხური საკრავების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების. მცირე ბიუჯეტის მიუხედავად, სკოლა მოსწავლეებს უკერავდა სპორტულ და საცეკვაო ფორმებს. ხელსაქმის წრის წევრები, მასწავლებლებთან ერთად, ამზადებდნენ სხვადასხვა, პრაქტიკული დანიშნულების ნივთებს, მათ შორის, მარიონეტებს. ექსპერტის თქმით, სკოლაში, დაფუძნების დღიდან, ფუნქციონირებდა თოჯინების თეატრი.

ექსპერტმა აღნიშნა, სკოლაში 2016 წლიდან ფუნქციონირებდა მკითხველთა კლუბი „ანთილიოსი“,2019 წელს კლუბის წევრებმა დადგეს ლიტერატურულ-მუსიკალური სპექტაკლი: „სამას მეერთე არაგველი“ (გოდერძი ჩოხელის ნაწარმოების მიხედვით). მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ ფრანკოფონიის დღეებში და ჰქონდათ წარმატებები. სკოლა თანამშრომლობდა სხვა სკოლებთან და ორგანიზაციებთან: 1. თბილისის წმიდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებელთა საგანმანათლებლო სკოლა; 2. ბათუმის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა; 3. ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის წმიდა გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზია; 4. სენაკის წმიდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია; 5. ოზურგეთის წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლა; 6. გორის ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია; 7. პედაგოგთა კავშირი; 8. ძალადობისგან დაცვის გურიის რეგიონალური კომიტეტი; 9. სტრატეგიული განვითარების რეგიონული ქსელი. პარტნიორი სკოლები მართავდნენ ერთობლივ ღონისძიებებს როგორც პედაგოგების, ასევე მოსწავლეებისათვის.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა სკოლის მიღწევებზე: ·2020 წელი - სასკოლო ოლიმპიადა ბადმინტონში - I ადგილი ოზურგეთის რაიონის მასშტაბით (4 მოსწავლე); · 2020 წელი - „რა? სად? როდის?“ რეგიონალური ჩემპიონატი - ნახევარფინალისტი გუნდი (პანდემიის გამო, ფინალი არ ჩატარებულა); · 2019 წელი - „რა? სად? როდის?“ რეგიონალური ჩემპიონატი - I ადგილი; · 2019 წელი - რაიონული ტურნირი ფეხბურთში - II ადგილი; · 2019 წელი - „ევროკლუბის“ მიერ ორგანიზებული „მხიარული სტარტები“ - I ადგილი; · 2018 წელი - ჭადრაკის რაიონული ჩემპიონატი - ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით: 2 პირველი ადგილი, 1 მეორე ადგილი და ჯგუფური პირველი ადგილი; · 2017 წელი - ორგანიზაცია „მოქალაქეს“ მიერ გამართული სამოქალაქო განათლების ოლიმპიადა - გამარჯვებული მოსწავლის ნამუშევარი დაიბეჭდა კრებულში „გახდი მოქალაქე“ · 2017 წელი - სკოლის დირექტორმა, დეკანოზმა მათემ (გორდელაძე), მიიღო „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დამსახურებული მოღვაწის“ ჯილდო, ადგილობრივი ახალგაზრდების აღზრდაში შეტანილი წვლილისათვის.

3.2. ექსპერტის განცხადებით, წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაცია ეხებოდა ვიდეო კამერების შესაბამისობას, რაც შესყიდული იყო ვიზიტის პერიოდშივე. ამჟამად ვიდეო კამერები განთავსებული იყო სტანდარტის შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 220 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლისშესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 220 - ით განსაზღვრის საკითხი. საბჭომ ასევე დასძინა, რომ ავტორიზაციის უწყვეტობის მიზნითა და მოსწავლეთა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო **2020 წლის 24 აგვისტოდან.**

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლას(ს/კ 237113075) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 220 - ით. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს **2020 წლის 24 აგვისტოდან.**

4.ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და ნინო მჭედლიშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

4.1. ექსპერტის განცხადებით, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ოზურგეთის წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლის მისიის მიხედვით, სკოლისათვის პრიორიტეტული იყო ზნეობრივად, ინტელექტუალურად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობის აღზრდა მართლმადიდებლური და ეროვნული ღირებულებების შესაბამისად, ინდივიდუალური შესაძლებლობისა და საჭიროების გათვალისწინებით. წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. ექსპერტის თქმით, მასში გაწერილი იყო სკოლის თითოეული საფეხურის მიზნები და ამოცანები, სასწავლო შინაარსი კი ასახული იყო მასწავლებლების საგნობრივ და სააღმზრდელო პროგრამებში.

ექსპერტის განმარტებით, წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული იყო სამივე საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. 2020-2021 სასწავლო წლის სასკოლო საათობრივი ბადის მიხედვით სკოლაში, სამივე საფეხურზე, ისწავლებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა სავალდებულო საგანი და დაგეგმილი იყო მოსწავლეებისთვის საშუალო საფეხურზე ასარჩევი საგნების, მსოფლიო კულტურა (X კლ) და IX-XX საუკუნეების დასავლური ლიტერატურა (XI-XII კლ), შეთავაზება. ექსპერტის თქმით, მეორე უცხოურ ენად სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზა V კლასიდან რუსული და გერმანული ენები, სკოლის დირექციის განმარტებითა და წარმოდგენილი მეორე უცხოური ენების არჩევის ოქმის მიხედვით მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმა V კლასიდან აირჩიეს რუსული ენა.

ექსპერტის განცხადებით, კათედრებისა და მასწავლებლების პორტფოლიოებში წარმოდგენილი იყო დოკუმენტები - შემაჯამებელი დავალების ნიმუშები და მათი ანალიზები, გაკვეთილის გეგმები, სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი მასალები.

ექსპერტის განმარტებით, შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს პასუხობდა კლასების მიხედვით გაწერილი სადამრიგებლო პროგრამაც. პროგრამისა და კლასგარეშე აქტივობების ნაწილის მიხედვით, დამრიგებელი თავის საქმიანობას წარმართავდა დამრიგებლის ფუნქციონალური დატვირთვის, სასწავლო გეგმის, მოსწავლეთა სურვილებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ექსპერტის თქმით, აღნიშნული შინაარსის მიხედვით აქტივობები ორიენტირებული იყო სოციალური უნარების, წიგნიერების, კრეატიული აზროვნების, გარემოზე ზრუნვის, ბუნებისა და მისი დაცვის მნიშნელობის, ფიზიკური და გონებრივი განვითარების ხელშეწყობის, სამოქალაქო უნარ-ჩვევების, შემოქმედებითი პოტენციალის, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის, პატრიოტული ცნობიერების, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარების მიმართულებებზე. ექსპერტის განმარტებით, დამრიგებლის ერთ-ერთი ფუნქცია იყო კლასში შეექმნა პოზიტიური, მეგობრული სასწავლო გარემო და მოსწავლთა ასაკობრივი, ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით ეზრუნა მათ წარმატებაზე.

ექსპერტის განცახებით, მოსწავლეთა განსხვავებული ინტერესებისა და მიდრეკილებების გათვალისწინებით სკოლაში ფუნქციონირებდა და ახალი სასწავლო გეგმითაც განსაზღვრული იყო კომპიუტერის, გალობისა და ხალხური ცეკვების შემსწავლელი წრეები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მასწავლებლებთან გასაუბრების და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დგინდებოდა, რომ სკოლამ პანდემიის პირობებში შეძლო სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და აქტიურად აგრძელებდა სასწავლო პროცესს ონლაინ რეჟიმში. მათი თქმით, იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც წვდომა არ ჰქონდათ ინტერნეტთან, დავალებების მიცემა ხდებოდა მობილური ტელეფონის მეშვეობით ან მშობელთა აქტიური მონაწილეობით.

ექსპერტთა სკოლაში ვიზიტისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის, მასწავლებლებთან და ადმონისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგების ანალიზის შედეგად, ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლეები შეძლებდნენ შეეძინათ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, გამოემუშავებინათ შესაბამისი უნარები.

4.2. ექსპერტმა ისაუბრა მატერიალური რესურსების შესახებ. მისი განმარტებით, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლა მდებარეობდა ქ. ოზურგეთში, გურამიშვილის ქN4-ში მდებარე ორსართულიან სასწავლო კორპუსში (707.5 კვ.მ.). სკოლას ჰქონდა დიდი ეზო, რომელშიც განთავსებული იყო დახურული ტიპის სპორტული დარბაზი (405.6კვ.მ.), ღია სპორტული მოედანი, კაპიტალური სველი წერტილები (38 კვ.მ).

ექსპერტის განცხადებით, 2009 წლის თხოვების ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს საპატრიარქოს შემოქმედის ეპარქიამ თავის სარგებლობაში არსებული ქონება (უზუფრუქტის უვადო ხელშეკრულება 11.09.2008) სარგებლობაში გადასცა წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლას.

ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა მიერ სკოლას მიეცა რეკომენდაცია სველი წერტილების შენობაში შეტანასთან დაკავშირებით და მათთან ერთად მსჯელობის საფუძველზე გამოიყო შესაბამისი სივრცეები.

სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ ეს საკითხი გათვალისწინებული იყო სტრატეგიული განვითარების გეგმით, თუმცა აუცილებლად გაითვალისწინებდნენ ამ რეკომენდაციას და შეიტანდნენ პრიორიტეტულ საკითხად სკოლის ახალ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

4.3. ექსპერტმა ასევე ისაუბრა ადამიანური რესურსების შესახებ. მისი თქმით, წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლის მასწავლებლების პირადი საქმეების გაცნობის შედეგად დგინდებოდა, რომ ისინი შერჩეულნი იყვნენ ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად. სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებული იყო შესაბამისი ხელშეკრულებები.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 320 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლის შესაბამისობის საკითხზე და

მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 320 - ით განსაზღვრის საკითხი. საბჭომ ასევე დასძინა, რომ ავტორიზაციის უწყვეტობის მიზნითა და მოსწავლეთა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლისგადაწყვეტილება ძალაში შესულიყო **2020 წლის 24 აგვის ტოდან.**

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლას(ს/კ 237113084) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 320 - ით. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს **2020 წლის 24 აგვისტოდან.**

5.ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციისსაკით ხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლიანა კობესაშვილმა და მაკა ნადარეიშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

5.1. ექსპერტმა დაიწყო საუბარი სკოლის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებზე. მისივე განმარტებით, დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითს წარმოადგენდა სკოლის მხრიდან ზრუნვას მოსწავლეებში სოციალური უნარების განვითარების შესახებ, ასევე სკოლაში გროვდებოდა შემოწირულობები, რომლითაც მოსწავლეები სტუმრობდნენ მოხუცებს, სკოლა ასევე ზრუნავდა მოსწავლეებში გარემოსდაცვითი ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებაზე და სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობაზე.

ექსპერტის განცხადებით, წინა ვიტიზის დროს გაცემული რეკომენდაციების ნაწილი სკოლამ შეასრულა, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა სპორტული მოედნის მოწყობა სკოლის ეზოში.

5.2. ექსპერტის განმარტებით, სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ჰქონდა შეფასების მიზნები და წესი, მოსწავლის აკადემიური მოსწრება ფასდებოდა 10 ქულიანი სისტემით 5 დონის მიხედვით, კათედრების მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებები იყო სხვადასხვა ტიპის: ზეპირი შემაჯამებლები, ესსე, ტესტური დავალებები (რომლებიც მოიცავდა დახურულ და ღია შეკითხვებს, შესაბამისობის დადგენას) ამოცანების ამოხსნას და სხვა. ექსპერტის თქმით, ეს დავალებები ნაკლებად იყო კომპლექსური ხასიათის, მასწავლებლები სისტემატურად აკეთებდნენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს და ანალიზის შედეგებს იყენებდნენ მოსწავლეებთან შემდგომი მუშაობის დასაგეგმად, კათედრებზე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იყო როგორც ზოგადი ხასიათის ასევე თემის მიხედვით დაკონკრეტებული, შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის შესაბამისი იყო. ექსპერტის განცხადებით, მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მასწავლებლები განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად იყენებდნენ განმავითარებელ შეფასებასაც და შეფასების რუბრიკები მოსწავლეებისათვის ცნობილი იყო. სკოლას მიეცა რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ შემაჯამებელი დავალებები ყოფილიყო უფრო მეტად მრავალფეროვანი და კომპლექსური და დაგეგმილიყო თემატური ერთეულის ფარგლებში.

5.3. ექსპერტის განცხადებით, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლას ჰყავდა 39 მასწავლებელი. სკოლაში იყო პრაქტიკოსის სტატუსის მქონე 10 მასწავლებელი, მათ შორის 1 მასწავლებელი დარეგისტრირებული იყო საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების გამოცდაზე; 1 მასწავლებელი ასწავლიდა საგზაო წესებსა და უსაფრთხოებას, 1 ჭადრაკს, 1 მულტიმედია დიზაინს, რომელიც იყო არჩევითი საგანი. ექსპერტის განმარტებით, იმ პრაქტიკოსი მასწავლებლების შემთხვევაში, რომლებიც არ იყვნენ დარეგისტრირებული გამოცდაზე (ხელოვნების, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები) მასწავლებლების პოზიციაზე სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია ინტერნეტგვერდზე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 360 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 320 - ით განსაზღვრის საკითხი. საბჭომ ასევე დასძინა, რომ ავტორიზაციის უწყვეტობის მიზნითა და მოსწავლეთა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო **2020 წლის 24 აგვისტოდან.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლას (ს/კ 204571588) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო

პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 360 - ით. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს **2020 წლის 24 აგვისტოდან.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შედეგად სხდომა 17:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შანიძე ნატალია